

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი



სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

## **ბასკური ენისა და ლიტერატურის აქტუალური პრობლემები**

პროგრამა / თეზისები

5 ივნისი, 2025  
თბილისი

**კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ფილოლოგიის დოქტორი გიორგი შალამბერიძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

დოქტორანტი ირინა ნოზაძე

ბაკალავრიატის სტუდენტი ნანიკო ტორონჯაძე

**რეგლამენტი:**

მოსხენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

**სამუშაო ენა – ქართული**

11:00-11:20

## **კონფერენციის გახსნა**

თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია

### **მისალმებები**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ფილოლოგიის დოქტორი **გიორგი შალამბერიძე**

აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრის  
ხელმძღვანელი

11:20-14:00

### **პლენარული სხდომა**

I კორპუსი, 202-ე აუდიტორია

სხდომის თავმჯდომარე: ფილოლოგიის დოქტორი  
**გიორგი შალამბერიძე**

11:20-11:35

#### **ნანიკო ტორონჯაძე**

კირმენ ურიბე და მისი პოეზია ქართულ ენაზე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე

11:35-11:50

#### **მარიამ ქანთარია, ქეთევან გოგალაძე**

ბასკური ცხოველთა ზღაპრების ძირითადი მახასიათებლები

ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე

11:50-12:05

**ზინაიდა კურლინაიანი**

ბასკური და სომხური მითოსური სამყაროს ფიგურათა კომპარატივისტული ანალიზი

*ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე*

12:05-12:20

**ბარბარე ბალადაშვილი**

ეკვივალენტობის მნიშვნელობა თარგმანში – მნიშვნელობის, ფუნქციისა და კულტურული კონტექსტის დინამიკა

*ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი მარიამ ქეზური*

12:20-12:35

**გვანცა შერმაზანაშვილი**

თანამედროვე ბასკი მწერლის არკაიც კანოს ნოველა „ლეიბი“: იდეურ-ესთეტიკური ასპექტები და ქართული თარგმანი

*ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე*

12:35-12:50

**ნინო ხუბულავა**

ბორხესის მემკვიდრეობა კე ფეის პოსტმოდერნულ ნარატივში: შედარებითი ანალიზი

*ხელმძღვანელი: დოქტორანტი ანა გოგუაძე*

12:50-13:05

**გიორგი შარაშენიძე**

მილან კუნდერას „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“: რომანი და ეკრანიზაცია

*ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი*

13:05-13:20

**ქეთევან გიორგაძე**

ქართველები და ბასკები – სინამდვილე და ჰიპოთეზა (გიორგი

მახარაძის წიგნის „არდავინყება მოყვრისა“ მიხედვით)  
ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე

13:20-13:35

**მარიამ გაფრინდაშვილი, ია ნადირაშვილი**

ჰოლოკოსტი, როგორც კულტურული ტრავმა და მისი ინსტი-  
ტუციონალიზაცია  
ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

13:35-13:50

**ირინა მანჩხაშვილი**

მეტაფიქციონალობა იბან სალდუას „ბიბლიოგრაფიის“ მიხედვით  
ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე



## ნანიკო ტორონჯაძე

### კირმენ ურიბე და მისი პოეზია ქართულ ენაზე

**საკვანძო სიტყვები:** კირმენ ურიბე, თარგმანები, ჯილდო, პოეზია, ირაკლი მენთეშაშვილი

კირმენ ურიბე დაიბადა 1970 წლის 5 ოქტომბერს, ონდარო-აში. ის გახლავთ ბასკურენოვანი მწერალი, რომლის შემოქმედებაც თარგმნილია 20 ენაზე.

წინამდებარე მოხსენებაში განხილული იქნება მწერლის ბიოგრაფიული დეტალები, მისი ჯილდოები, ნაწარმებები, რომელთაც პოპულარობა მოიპოვა, ლექსები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ლექსები, რომლებიც ითარგმნა ქართულ ენაზე. კირმენმა ლექსების წერა დაიწყო მუსიკალური ჯგუფებისა და კომიქსების სცენარებისთვის. 1996 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი ლიზარდის პოეტიკაზე, მოგვიანებით კი გამოსცა ლექსების პირველი კრებული – სახელწოდებით „ეკოგრაფია“. 2000 წლიდან კი მუშაობს ლიტერატურულ-სატელივიზიო გადაცემაში სცენარისტად.

2001 წელს ლექსების კრებულის „Bitartean heldu eskutik“ („ამასობაში მომეცი ხელის“) გამოქვეყნებამ ლიტერატურათმცოდნე ჯონ კორტაზარის სიტყვებით, მოახდინა „მშვიდი რევოლუცია“ ბასკური ლიტერატურის სფეროში. მან მოიპოვა კრიტიკოსთა პრიზი პოეზიაში ბასკურ ენაზე და მისი პირველი გამოცემა ერთ თვეში გაიყიდა. იგი ესპანურად 2003 წელს ითარგმნა.

ურიბე მულტიმედიური პროექტების ავტორია, რომლებშიც პოეზიას აერთიანებს სხვადასხვა მხატვრულ დისციპლინებთან. სწორედ 2000 წელს წელს ჰქონდა პროექტი, რომელიც აერთიანებდა პოეზიას, მუსიკას, ვიდეოსა და ზეპირ ისტორიას. გარდა მწერლობისა, კირმენ ურიბე არის მწერალი, მასწავლებელი, სცენარისტი და მთარგმნელი.

მისი ბიოგრაფიული დეტალებიდან მნიშვნელოვანია 2008 წელი, როდესაც გამოაქვეყნა რომანი „ბილბაო, ნიუ-იორკი, ბილბაო“, რამაც კრიტიკოსთა ეროვნული პრიზისა და 2009 წლის ლიტერატურის ეროვნული პრემია მოუპოვა. 2010 წელს თარგმანებით ერთდროულად გამოჩნდა ესპანურ, გალისიურ და კატალონიურ ენებზე. ამ ნაწარმოებს არ გააჩნია ჩვეულებრივი სიუჟეტი, ეფუძნება ქსელურ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს სამი თაობის მომავალს.

მისი მეორე რომანი იყო „Mussche“, ხოლო მისი ბოლო რომანი „Elkarrekin esnatzeko ordua“. ამ უკანასკნელმა რომანმა, სადაც განსაკუთრებულად გამოჩნდა მწერლის სიდიადე, 2016 წელს მოიპოვა ესპანელი კრიტიკოსების ჯილდო (ნარატივი ბასკურ ენაზე) და ბასკ მკითხველთა აკადემიისა. მას 8 პრემიამდე აქვს მიღებული, საინტერესოა კირმენის პოეზიის სიღრმე და პირადი მსოფლმხედველობა. მისი პოეზიის ნაწილი, საბედნიეროდ, გვაქვს ქართულად. ის თარგმნა ირაკლი მენტეშაშვილმა კრებულიდან „17 ნამი“ (2019) მისი თარგმნილი ლექსებია: „ქარხნიდან დაბრუნებული ქალები“, „მუნჯი ბავშვი“, „ჩიტები ზამთარში“, „ხე“, „ანტო-მენდის საბილიარდო“, „მეზღაპრე დეიდა“, „სახლში მოქსოვილი ჯემპრები“, „რადიომიმღები“, „დონ ხუანი“, „მეც დავიცავ“, „პირველი დაბადების დღე შენს გარეშე“, „სუბიბარი“, „სენი მჭირს რაღაც“. ირაკლი მენტეშაშვილმა მისი ლექსების ნაწილი ბასკურიდან, ხოლო ნაწილი ესპანურიდან თარგმნა, რაც ძალიან სასიხარულო და აღსანიშნავია, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არის ხშირი თარგმანები ბასკურიდან. ბასკური თანოფიციალური ენაა ესპანეთისა, შესაბამისად, პოეზია და წერილობითი ნიმუშები ამდიდრებს კულტურას, ხოლო თარგმანი არის ერთგვარი ხიდი, რომელიც გადებულია ორ სამყაროს, ორ ქვეყანას შორის და აკისრია დაკავშირების ფუნქცია, რომელიც ეხება სხვადასხვა კულტურას, ისტორიასა და ენას. ირაკლი მენტეშაშვილმა მარტივი და სადა ენით გადმოგვიქართულა მისი პოეზიის ნაწილი და შეგვიქმნა წარმოდგენა იმ მწერალზე, რომელიც შეიძლება ბევრმა არ იცოდეს.

## მარიამ ქანთარია, ქეთევან გოგალაძე

### ბასკური ცხოველთა ზღაპრების ძირითადი მახასიათებლები

**საკვანძო სიტყვები:** ბასკური ცხოველთა ზღაპრები, ცხოველთა ზღაპრების პერსონაჟები, მხატვრული ფორმა/სტრუქტურა, ზღაპრის ტრადიციული ფორმულები

მოხსენების ფარგლებში ყურადღებას გავამახვილებთ ბასკური ცხოველთა ზღაპრების სტრუქტურულ, შინაარსობრივსა და მხატვრულ მახასიათებლებზე, მთავარ მოქმედ გმირებსა და საკვანძო თემებზე. ბასკური ზღაპრები არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ძვირფასი ნიმუშებია, არამედ ეთნოკულტურული მეხსიერების მატარებელი ტექსტებია, რომლებიც უნიკალური მითოსური წარმოდგენებით, ისტორიულ-რელიგიური შრეებითა და არქაული რიტუალებით მოწმობენ ბასკური იდენტობის სიღრმეს.

ბოსე მიგელ დე ბარანდიარანის მიერ შეკრებილი და გადმოცემული ზღაპრები, მათი სტრუქტურული არქეტიპულობით, სიმბოლურობითა და რეალიზმისა და ფანტასტიკის ორგანული შერწყმით, არა მხოლოდ ვ. პროპისეული ზღაპრის მორფოლოგიას მიჰყვებიან, არამედ ჟანრის განვითარების საწყის ფორმებსაც ასახავენ, რითაც ფოლკლორულ ტექსტს ღრმა კვლევითი მნიშვნელობა ენიჭება. წინამდებარე მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ცხოველთა ზღაპრებს. ცხოველთა ზღაპრებში გმირები ცხოველები არიან, მაგრამ მათი ქმედებები ადამიანური ხასიათებითაა აღბეჭდილი. მათი მთავარი ფუნქცია დიდაქტიკურია – ისინი ასწავლიან ბავშვებს ჭკუას, ჰუმანურობას, სამართლიანობას და ხშირად აფრთხილებენ ცბიერების ან სიხარბის შედეგებზე. ბასკური ზღაპრებიც თემატიკით, მოტივით, პერსონაჟთა ფუნქციით კლასიკური ზღაპრების ანალოგიურია.

ბასკური ცხოველთა ზღაპრების გამორჩეული გმირები მგელი და მელიაა, მათ საკუთარი სახელებიც კი აქვთ, მელიას

ლუკიტოს ეძახიან, ხოლო მგელს – ოთქსანგოს. ცხოველთა ზღაპრებში პერსონაჟები უცვლელნი არიან: მელია ყველგან მელიაა, ის არასდროს იშლის მელიობას, მგელი კი ყველგან მგელი, რაც მის მუდმივ სიხარბეში, სიბრიყვესა და მშვირობაში გამოიხატება. ისინი ინარჩუნებენ თავიანთ სახესა და ფუნქციას ყველა ეპიზოდში, რაც ქმნის სტაბილურ, ერთიან სამყაროს. თუმცა, ბასკურ ზღაპარს „მელია და მგელი“ არატრადიციული დასასრული აქვს და ზნეობრივი განმენდის მაგალითს გვიჩვენებს.

მოხსენებაში, ამავდროულად, ვისაუბრებთ ბასკური ცხოველთა ზღაპრების მხატვრულ ფორმაზე. ბასკური ზღაპრები სხარტი და მოკლეა, ამიტომ მხატვრული და ლექსიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მთქმელისთვის უფრო მნიშვნელოვანია ამბავი, რომელსაც ჰყვება და არა ტექსტის მხატვრული სახე. ზღაპრის ტრადიციული ფორმულები საერთაშორისო მოვლენაა და მათ ბასკურ ზღაპრებშიც იყენებენ. ასევე, ჩვენი მიზანია განვიხილოთ ბასკური ზღაპრების სტრუქტურა. ბასკურ ზღაპრებში გვხვდება დასაწყისის რეალისტური და არარეალისტური ფორმულები. ცხოველთა ზღაპრებს ძირითადად არარეალისტური ფორმულები ახასიათებთ.

ამგვარად, შევეცდებით, გავიგოთ რას გვიამბობენ ბასკური ცხოველთა ზღაპრები, არა მხოლოდ ზღაპრული სამყაროს, არამედ ბასკი ხალხის მსოფლმხედველობის შესახებ. ჩვენი მიზანია გავარჩიოთ, როგორ აისახება ამ ზღაპრებში ადამიანური ფასეულობები და ზნეობრივი გაკვეთილები. ასევე შევისწავლით, რა სტრუქტურითა და ხერხებით, რა გზავნილს გადასცემენ ისინი მკითხველს.

## ზინაიდა კურლინიანი

### ბასკური და სომხური მითოსური სამყაროს ფიგურათა კომპარატივისტული ანალიზი

**საკვანძო სიტყვები:** მითოსური სამყარო, ბასკური ღვთაებები და მათი სომხური ანალოგები, მარი-ანაჰიტი, ეკი-არამაზდი, ბასახაუნი-ვაჰაგნი, მთვარის ღვთაებები

ბასკური მითოლოგია წარმოადგენს ერთ-ერთ უნიკალურ და მდიდარ მითოლოგიურ სისტემას ევროპაში, რომელიც არ ემთხვევა არც ინდოევროპულ, არც სემიტურ კულტურულ ნიმუშებს. მისი ცენტრი არის ღვთაებათა პანთეონი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნების ელემენტებთან. ბასკურ წარმოდგენაში ბუნება არა მხოლოდ სივრცე, არამედ ცოცხალი ძალაა, რომელსაც მართავენ ღვთაებები – მარი, მზის და მთვარის ღვთაებები, ნაყოფიერების პერსონიფიცირებული ძალები. მათი მეშვეობით შეიძლება გავიგოთ საზოგადოების წარმოდგენები სქესზე, ძალაუფლებაზე და სამყაროს ჰარმონიაზე.

მოხსენების მიზანია ბასკური მითოლოგიის ამ ფიგურების განხილვა და მათი შედარება სომხური მითოლოგიის ანალოგიურ ფიგურებთან. ბასკური მითოსის ცენტრალური ფიგურა მარი, ბუნების დედა და სამყაროს ძალთა ბალანსის შემნახველი, წარმოადგენს ძლიერ ქალ ღვთაებას, რომლის გავლენაც მთებსა და კლიმატურ პირობებზეც ვრცელდება. მარი არა მხოლოდ ღვთაებაა, არამედ მორალური წესრიგის გარანტიცაა.

ბასკური მითოლოგიის ფიგურები ტრადიციულად ასახავენ ბუნების ციკლურობას, რომელიც ყოველი მათგანის მოქმედებაში იკვეთება. ბასკური მითოლოგიის ღრმა კავშირი ბუნებასთან, მის ძლიერ სიმბოლიზმთან და ქალი ღვთაებების გამორჩეულ როლთან, გვაძლევს შესაძლებლობას გავავლოთ პარალელები სხვა უძველეს კულტურებთან. მსგავსი თემატიკა – ბუნების ძალების პერსონიფიკაცია, ქალური ღვთაებების სიძლიერე და ციკლური დროის აღქმა – ფართოდ გვხვდება სომხურ მითოლოგიაშიც. სწორედ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბასკური და სომხური

მითოლოგიური სისტემების შედარება, რათა უკეთ დავინახოთ, როგორ აღიქვამენ ეს კულტურები სამყაროს წყობას, ბუნების სულიერ მნიშვნელობასა და ღვთაებათა როლს ამ სისტემებში.

ბასკური და სომხური მითოლოგია, მიუხედავად მათი გეოგრაფიული განსხვავებებისა, რამდენიმე მნიშვნელოვან მსგავსებას შეიცავს, განსაკუთრებით ბუნების ძალების, სქესისა და ღვთაებების თემებში. ორივე კულტურაში ღვთაებები ქმნიან სამყაროს სიმეტრიასა და წესრიგს. სომხური მითოლოგიაც ბევრ მსგავს სიმბოლოს იყენებს ბუნების და სამყაროს ახსნისთვის, თუმცა იგი უფრო მეტრძოლი ბუნებისა და სოციალური ელემენტების გამოყენებას აქცევს ყურადღებას; ბასკური მარი, ბუნების დედა, ასოცირდება სომხურ ანაჰიტთან, რომელიც წყლის, ნაყოფიერების და ქალის სიმბოლოა. ორივე ღვთაება ქალის ძალას ასახავს და მათ მართვაში ბუნება და ცხოვრება ერთმანეთს ერწყმის. საინტერესოა, რომ ბასკური ბასახაუნი, რომელიც ტყის ბატონია, მიწასთან და ბუნებასთან მჭიდრო კავშირშია, ხოლო სომხური ვაჰაგნი – რიტუალური მეტრძოლი ღვთაებაა და ყველაზე ხშირად ასოცირდება ბრძოლასთან და ბრძოლაში გამარჯვებასთან. ბასკური ეკი (ეგუსკი, იგუთკი...), მზის ღვთაება, რომელიც სამყაროს სიცოცხლესა და სინათლეს განაგებს, შეიძლება შევადაროთ სომხურ არამაზდს, რომელიც მზის და ყოველი სიცოცხლის დასაწყისია. ორივე ღვთაება სიმბოლურად განასახიერებს სიცოცხლისა და სამყაროს განახლებას. მოხსენებაში ასევე ვისაუბრებთ მთვარის ღვთაების შესახებ, რომელიც ბასკურ მითოლოგიაში ილათკის (ილარგი) სახელითაა ცნობილი, რაც მიცვალებულთა სინათლეს ნიშნავს. სომხურ მითოლოგიაში მთვარის ღვთაება სელარდის სახელითაა ცნობილი. ამავდროულად, ფართოდ გავრცელებულია ლუსნის სახელიც, რომელიც ძველი სომხური ფორმიდან (լուսին) მომდინარეობს და მთვარეს ნიშნავს. საგულისხმოა, რომ ახალი მთვარე ახალგაზრდობის სიმბოლოა, სავსე მთვარე – მოწიფულობის, ხოლო კლებადი მთვარე – ხანდაზმულობის, რის შემდეგაც ლუსნი სამოთხეში გადაინაცვლებს, ხელახლა იზადება და სიკვდილისა და განახლების იდეის მატარებელი ხდება.

## ბარბარე ბალადაშვილი

### ეკვივალენტობის მნიშვნელობა თარგმანში – მნიშვნელობის, ფუნქციისა და კულტურული კონტექსტის დინამიკა

**საკვანძო სიტყვები:** ეკვივალენტობა, თარგმანი, ფუნქციური თარგმანი, კულტურული ადაპტაცია

თარგმანის თეორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცნებას ეკვივალენტობა წარმოადგენს – კავშირი ორ ენას შორის, რომელიც უზრუნველყოფს იმავე მნიშვნელობისა და ფუნქციის გადმოცემას განსხვავებულ კულტურულ და ენობრივ კონტექსტში. ეს თეზისი ეყრდნობა იუჯინ ნაიდას მოსაზრებას, რომლის თანახმად, დინამიკური ეკვივალენტობის მიზანი არ არის ტექსტის სიტყვასიტყვითი გადმოცემა, არამედ ისეთი ფორმულირება სამიზნე ენაზე, რომელიც მკითხველზე ისეთივე ბუნებრივ შთაბეჭდილებას მოახდენს, როგორც ორიგინალი – ამასთან ერთად, მნიშვნელობით მაქსიმალურად მიახლოებული იქნება წყარო ტექსტთან (Nida, 1964). ნაიდას ხედვით, თარგმანი არ შემოიფარგლება სიტყვასიტყვით შესაბამისობით, არამედ ცდილობს სამიზნე აუდიტორიაზე იმავე ზემოქმედების მოხდენას, რაც ორიგინალის შემთხვევაში იყო. იგი ემსახურება ერთი ენიდან მეორე ენაში არა მხოლოდ სიტყვების თარგმანის გადატანას/მნიშვნელობების შეთანხმებას, არამედ იმას, თუ რამდენად ინარჩუნებს შესრულებული თარგმანი იმ გადმოცემულ მნიშვნელობას, რომელიც ორიგინალს აქვს იქნება ეს ტექსტის სტილისტური ხასიათი, არსებული მნიშვნელობის სიღრმე თუ ტექსტის დანიშნულება.

რომან იაკობსონის მიხედვით, თარგმანი არის ორი ეკვივალენტური შეტყობინება სხვადასხვა ენაში. აქედან გამომდინარე იგი არ გულისხმობს ზუსტ ან სიტყვასიტყვით თარგმანს (Jakobson, 1959) ხშირად, იგი მოითხოვს დინამიკურ ადაპტაციას – მეტაფორების, იდიომებისა და კულტურულად ან ლოკალურად დამკვიდრებული გამომსახველობების ისეთ ფორმაში გარდაქმნას, რომელიც მიზნობრივი აუდიტორიისთვის ზუსტად და ბუ-

ნებრივად ჟღერს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ინგლისური იდიომი: “It’s not my cup of tea”, თუკი მას პირდაპირ ვთარგმნით, ქართულად იგი აზრს მოკლებული იქნება, მაგრამ მისი ფუნქციურად ეკვივალენტური ფორმა შეიძლება იყოს – „ეს ჩემი სტილი არ არის“.

მთარგმნელის ამოცანაა, იპოვოს კონტექსტის შესაფერისი ენობრივი ერთეულები, დაიცვას ბალანსი და ტექსტის ორიგინალ ვერსიასთან მაქსიმალურად მიახლოებულად გამოხატოს აზრი/ინფორმაცია. ამ პროცესში ეკვივალენტობა შორდება განსაზღვრულ წესებს და გარდაიქმნება თარგმნის მოქნილ, ადაპტირებულ და კრეატიულ გზად.

სხვადასხვა ავტორის მიმოხილვის და ნაშრომის გათვალისწინებით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ეკვივალენტობა თარგმანის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს მნიშვნელობისა და ფუნქციის სწორ გადმოცემას განსხვავებულ კულტურულ და ენობრივ კონტექსტში.

## გვანცა შერმაზანაშვილი

### თანამედროვე ბასკი მწერლის არკაიც კანოს ნოველა „ლეიბი“: იდეურ-ესთეტიკური ასპექტები და ქართული თარგმანი

**საკვანძო სიტყვები:** ბასკური მხატვრული ლიტერატურა,  
არკაიც კანო, „ლეიბი“, სტილისტური მრავალშრიანობა,  
კინემატოგრაფიული ხედვა

ბასკური ლიტერატურა ევროპული კულტურის მრავალფეროვნების ერთ-ერთი უნიკალური ნაწილია. მისი განვითარება დაკავშირებულია პოლიტიკურ და ენობრივ იდენტობასთან, რომელთა გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა თანამედროვე ავტორთა შემოქმედებაში. არკაიც კანო – ბასკი პოეტი, პროზაიკოსი მთარგმნელი და სცენარისტი – ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ამ ლიტერატურული ტრადიციისა. ის 1978 წელს, სან-სებასტიანში (ბასკეთში) დაიბადა და დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება თანამედროვე ბასკურ ლიტერატურაში. ის ქმნის როგორც პოეზიას, ისე პროზას და უხვად იყენებს ვიზუალური ხელოვნებისა და პერფორმანსის ელემენტებს. კანოსთვის ბასკურად წერა ბუნებრივი მოცემულობაა, მისი ტექსტები ხშირად ეხება იდენტობის, ძალადობისა და პირადი ურთიერთობების თემებს. მისი ენა მკვეთრად პოეტურია – მღუმარე, რიტმული და ხანდახან შეგნებულად მინიმალისტური. ნოველა „ლეიბი“, რომელზეც მოხსენებაში ვისაუბრებთ, ქართულად ითარგმნა ირინა ნოზაძის მიერ და გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 2024 წლის ივნისის ნომერში.

„ლეიბი“ სტილური და კონცეპტუალური სიღრმის მაგალითია. ესაა მცირე პროზის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, რომელიც მკითხველს უჩვეულო ინტერიერის ფონზე სოციალურ სიღარიბეს, მამისა და შვილის ურთიერთობასა და ბავშვობის დაკარგვაზე გვიამბობს. „ლეიბი“ წარმოდგენილია როგორც სამყაროს რუკა, ისაა საწოლიც, ოფისიც, სამზარეულო და საცხოვრებელი ერთდროულად. თავად ლეიბი, თავისი ლაქებითა და

დაზიანებებით, მეტაფორულად აცოცხლებს მთავარი გმირების – მამისა და შვილის ცხოვრების სირთულეებს. არკაიც კანოს ტიპური იერარქიების გარეშე მოთხრობილი ამბავი, თავისი ირონიითა და დრამატული ნარატივით, მკითხველს ემოციურად ითრევს. ქართულ თარგმანში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტის სტილისტიკურ მრავალშრიანობას: კანოს ენა მარტივი და უშუალოა, თუმცა სავსეა სიმბოლოებით, სოციალური ირონიითა და სენსიტიური ნიუანსებით. „ლეიბის“ ცენტრალური ხატება არა მხოლოდ სიღარიბის ან უპოვრობის სიმბოლოა, არამედ გადარჩენის, მეხსიერებისა და შინაგანი სამყაროს მატარებელიცაა.

კანოს სტილი აგებულია თავისუფალი, კინემატოგრაფიული ხედვითა და მისი გმირები — როგორც, მაგალითად, სოლი და მისი შვილი გაბი — რეალისტური პერსონაჟებია, მაგრამ მათი სამყაროს აღქმა ხშირად სიმბოლიზმითა და მნუსხარებით არის შეპყრობილი. არკაიც კანო ეყრდნობა ბასკურ რეალობას, მაგრამ ქმნის ისტორიებს, რომლებიც უნივერსალურია და თავისუფლად შეიძლება მოერგოს ნებისმიერ სოციალურ სინამდვილეს – სიღარიბე, მამისა და შვილის რთული თანაცხოვრება, ბავშვობის დაკარგვა... საბოლოოდ, არკაიც კანოს „ლეიბი“ მეტია, ვიდრე უბრალოდ ნოველა, ესაა ზღვარი რეალობასა და ფანტაზიას შორის, სადაც ერთი ლეიბი მთელი სამყაროს სიმბოლოდ იქცევა.

## ნინო ხუბულავა

### ბორხესის მემკვიდრეობა კე ფეის პოსტმოდერნულ ნარატივში: შედარებითი ანალიზი

**საკვანძო სიტყვები:** ხორხე ლუის ბორხესი, კე ფეი, ჩინური ავანგარდული ლიტერატურა, ლიტერატურული რეცეფცია, ლაბირინთული ნარატივი

XX საუკუნის 80-იან წლებში ჩინურ ლიტერატურულ ავანგარდზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ესპანურენოვანმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით კი ხორხე ლუის ბორხესის ინტელექტუალურმა პროზამ. ეს გავლენა თვალსაჩინოა არაერთი ჩინელი ავტორის შემოქმედებაში, რომელთა შორის არის კე ფეი – თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ავანგარდული და პოსტმოდერნული ჟანრის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. წინამდებარე თეზისი მიზნად ისახავს ბორხესის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას კე ფეის პოსტმოდერნულ ნარატივში, ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებში, როგორიცაა «迷舟» („დაკარგული ნავი“), «褐色的鸟» („ყავისფერი ფრინველი“) და სხვა ტექსტები. ამ კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს ჩინური პოსტმოდერნიზმის თავისებურებების წარმოჩენაში გლობალურ კონტექსტში, და იმის ჩვენებაში, თუ როგორ ხდება ერთი კულტურული ტრადიციის ელემენტების ტრანსფორმაცია და რეინტერპრეტაცია მეორის მიერ, რის შედეგადაც ყალიბდება უნიკალური, სინთეზური ლიტერატურული დისკურსი.

მოხსენებაში გაანალიზებულია, თუ როგორ აითვისა კე ფეიმ ბორხესისთვის დამახასიათებელი ნარატიული ხერხები, როგორიცაა ლაბირინთული სტრუქტურები, მეტაფიქციურობა, დროისა და სივრცის პირობითობა და თხრობის არასანდოობა. ამასთან, ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ იყენებს კე ფეი ბორხესისეულ ხერხებს საკუთარი, ჩინური სინამდვილისთვის აქტუალური თემების გამოსაკვეთად, როგორიცაა ისტორიის ტრავმული გამოცდილება, მეხსიერების როლი, იდენტობის ძიება და ინტელექტუალის ფუნქცია ჩინურ საზოგადოებაში.

კვლევის სიახლე მდგომარეობს კე ფეის მიერ ბორხესის თხრობის ხერხების არა მექანიკურ იმიტაციას, არამედ შემოქმედებით ინტერპრეტაციასა და ადაპტაციას. ნაშრომი წარმოაჩენს, თუ როგორ ახდენს ბორხესისეული სტილისტური ელემენტების სინთეზს საკუთარ, უნიკალურ თემატურ ინტერესებთან და ჩინურ საზოგადოებრივ-ისტორიულ რეალობასთან, როგორიცაა ისტორიის ტრავმული გამოცდილების რეფლექსია ან ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების კონფლიქტი.

კვლევის აქტუალობას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს თანამედროვე ჩინური ლიტერატურის მზარდი როლი გლობალურ კულტურულ სივრცეში და, შესაბამისად, კე ფეის, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილის, შემოქმედების სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობა. ჩინური ავანგარდი წარმოადგენს გარდამტეხ მოვლენას თანამედროვე ჩინური პროზის განვითარებაში. გლობალიზაციის ეპოქაში კულტურათაშორისი ლიტერატურული გავლენების კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისტორიული ნარატივების დეკონსტრუქციისა და ალტერნატიული ისტორიების ძიების თემა, ჩინეთის კულტურული და ინტელექტუალური განვითარების გააზრებისთვის.

წინამდებარე კვლევის უმთავრესი მიზანია ხორხე ლუის ბორხესის ლიტერატურული მემკვიდრეობის – კერძოდ, მისი ნარატიული ხერხებისა და თემატური თავისებურებების – კე ფეის პოსტმოდერნულ ნარატივში შემოქმედებითი რეცეფციისა და ტრანსფორმაციის სიღრმისეული ანალიზი. კვლევა ისახავს მიზნად, აჩვენოს, რომ კე ფეი არა უბრალოდ იმეორებს და ითვისებს არგენტინელი მწერლის ხერხებსა და იდეებს, არამედ ადაპტაციის საშუალებით ახდენს ჩინური სოციო-კულტურული, ისტორიული და ინტელექტუალური რეალობისთვის აქტუალურ პრობლემებს იკვლევს, რითაც ქმნის თვითმყოფად, სინთეზურ პოსტმოდერნულ დისკურსს, რომელიც პასუხობს თანამედროვე ჩინეთის კულტურულ და ინტელექტუალურ გამოწვევებს.

## გიორგი შარაშენიძე

### **მილან კუნდერას „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“: რომანი და ეკრანიზაცია**

**საკვანძო სიტყვები:** კუნდერა, რომანი, ეკრანიზაცია,  
ინტერმედიალობა

მილან კუნდერა, XX-XXI საუკუნეების მნიშვნელოვანი და გავლენიანი რომანისტი და რომანის თეორეტიკოსი, მიიჩნევა ავტორად, რომელმაც 1980-იან წლებში იგივე გააკეთა მშობლიური ჩეხოსლოვაკიისთვის, რაც 1960-იან წლებში გაბრიელ გარსია მარკესმა – ლათინოამერიკისთვის და 1970-იან წლებში ალექსანდრ სოლჟენიცინმა – რუსეთისთვის: მან დასავლელი მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიაპყრო აღმოსავლეთ ევროპას, თანაც იმ იდეის დახმარებით, რომელიც უნივერსალურად მიმზიდველია.

მისი ყველაზე ცნობილი რომანის, „ყოფის აუტანელი სიმსუბუქის“, ფილოსოფიურ საფუძველს სწორედაც მოვლენების „მუდმივად გამეორების“ იდეა წარმოადგენს, რომელიც ფრიდრიხ ნიცშემ წამოაყენა. ასეთ გარდაუვალობას, კუნდერას აზრით, უპირისპირდება ყოფიერების სიმსუბუქე, რაც მის რომანში ორგვარადაა ასახული: პრადელი ექიმის, ტომაშის, ეროტიკულ გატაცებებში, რითაც იგი ცოლქმრულ ურთიერთობებს გაურბის და ირიბად მინიშნებული პოლიტიკური უუნარობით, რომელიც აღმოსავლეთ ევროპას საბჭოთა ოკუპაციის ხვედრს არგუნებს. ყოველივე ეს ტექსტში გადმოცემულია, ერთი მხრივ, მთხრობელის ჰეტეროდოგიკური ხმით, რომელიც პერსონაჟებს და მათ ამბებს ყოველგვარ ავტონომიურობას უკარგავს, მეორე მხრივ კი, არალინეარული თხრობით, რომლითაც ზოგი მოვლენა ახლიდან მეორდება, რათა განსხვავებული თვალსაზრისით წარმოჩენდეს. შედეგად, მიიღწევა რომანის სტრუქტურის სრული დეკონსტრუქცია.

ეს ტექსტუალური თუ ფილოსოფიური მახასიათებლები განსაზღვრავენ ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მილან კუნდერას რომანების ეკრანიზაცია შეუძლებელია და ამ შეხედულებას თავად ავტორის პოზიციაც ამძაფრებს: იგი თავისი ნამუშევრების ნებისმიერი სახით ადაპტაციას კრძალავდა. მიუხედავად ამისა, 1988 წელს ფილიპ კაუფმანის რეჟისორობით „ყოფის აუტანელი სიმსუბუქის“ ცნობილი ეკრანიზაცია შესრულდა. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არა იმდენად რომანისა და ეკრანიზაციის დაპირისპირება, რამდენადაც მათი, როგორც ხელოვნების ცალკეული ფორმის, გამომსახველობითი თავისებურებების განხილვა და შეძლებისდაგვარად პასუხის გაცემა კითხვისთვის, საერთოდ საჭიროა თუ არა იმის შეფასება, რამდენად ზუსტია ეკრანიზაცია ლიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით.

## ქეთევან გიორგაძე

### **ქართველები და ბასკები – სინამდვილე და ჰიპოთეზა (გიორგი მახარაძის წიგნის „არდავინყება მოყვრისა“ მიხედვით)**

**საკვანძო სიტყვები:** სინამდვილე, ჰიპოთეზა, ქართველები და ბასკები

ორი იბერიის შესახებ მოსაზრება თეორიულ საზღვრებს კარგა ხანია გასცდა და ძალიან დიდი ინტერესით სარგებლობს, როგორც ქართველ, ისე ბასკ მეცნიერთა წრეებში. წინამდებარე მოხსენებაში ვისაუბრებთ ბასკეთის, როგორც საკუთარი იდენტობის მატარებელი ქვეყნის, სიახლოვეზე საქართველოსთან.

საკითხის აქტუალობა მრავალ წელს ითვლის, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აქტიურად მიმდინარეობდა კვლევა ბასკებისა და ქართველების კულტურის, ტრადიციების, გენეტიკის მსგავსებებზე, გვაქვს არაერთი ცოცხალი წყარო და მტკიცებულება იმისა, რომ ეს თითქოს ჩვენგან ათასობით კილომეტრით დაშორებული ერი ძალიან ჩამოგვგავს. საკითხს რომ მეტად ჩაუფლრმავდეთ, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ არაერთი ცნობილი მეცნიერის დასტურით, ნეოლითის ხანაში ბასკები აზიიდან გადასახლდნენ ევროპაში, სწორედ ამ ფაქტიდან იწყება მსგავსებების ძიება ეუსკარო-კავკასიურს შორის. თითქოს ეს არ არის ბევრის მომცემი, რადგან შესაძლოა ნებისმიერ ერთან საერთოს პოვნა კულტურული თვალსაზრისით, მაგრამ საერთო ნიშნები ამ ორ ერს აქვს არათუ მენტალიტეტსა და ხასიათში, ცნობილი კვლევების თანახმად, გავრცელებული სისხლის ჯგუფებიც კი საერთოა ბასკეთსა და დასავლეთ საქართველოში, რომ არაფერი ვთქვათ ერთნაირი ჟღერადობისა და დაბოლოების მქონე გვარებზე, სოფლების სახელებზე.

როგორც გიორგი მახარაძე აღნიშნავს წიგნში „არდავინყება მოყვრისა“, არამეცნიერი ადამიანისთვისაც კი მარტივად შესამჩნევია, რომ ბასკები არიან ქართველებივით ფიცხები,

აქტიურები, დაუმორჩილებლები, გარეგნული მსგავსება კი იმდენად დიდია, რომ გარჩევა შეუძლებელიც კია. ბევრი საერთო არსებითია თვით ენაშიც კი, ცნობილია, რომ ფონეტიკაში ძალიან ბევრია ერთნაირი, ასევე სიტყვის ძირებსა და გრამატიკულ სუფიქსებშიც გვხვდება მსგავსება. ბასკური ენა ზოგადად მეტად საკამათო საგანია, რადგან მოქცეულია ესპანურ და ფრანგულენოვან არეალებს შორის, თავად კი ინდოევროპულისგან ძალიან განსხვავდება სიტყვათა აგებულების და, შესაბამისად, წინადადების სტრუქტურის მიხედვით, რაც ქართულთან უფრო აახლოებს. მნიშვნელოვანია ფოლკლორი, რომელიც ერის სულის სარკეა, მრავალი მეცნიერი დიდხანს აჯერებდა და ადარებდა ბასკურ და ქართულ დღესასწაულთა ტრადიციებს, აღმოჩნდა ბურთის თამაშის მიმართ სიყვარული და ქართული ხორუმის მსგავსი ბასკური ცეკვა „რკალი“, რაც მთავარია, ორივე ერის საგანძურმა შემოგვინახა საერთო შინაარსის ზღაპრები და სიმღერებში გაცოცხლებული პოეზია, რომელშიც ნათლადაა ასახული ამ ორი ხალხის საერთო ყოფა. ამდენად, საინტერესოა, სად გადის ზღვარი სინამდვილესა და ჰიპოთეზას შორის...

## **მარიამ გაფრინდაშვილი, ია ნადირაშვილი**

### **ჰოლოკოსტი, როგორც კულტურული ტრავმა და მისი ინსტიტუციონალიზაცია**

**საკვანძო სიტყვები:** ჰოლოკოსტი, კულტურული ტრავმა,  
ინსტიტუციონალიზაცია, ტრავმის გააზრება

ჰოლოკოსტი (ბერძნულად ჰოლოს – სრული, მთლიანი, კოსტოს – გადამწვარი), შოა (ებრაულად კატასტროფა) კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, არაჰუმანური და ანტიცემიტური კვალიფიკაციის მქონე მოვლენაა, რომელმაც 6 მილიონამდე ებრაელის სიცოცხლე შეინირა. 1933 წლიდან 1945 წლამდე ნაცისტური მთავრობა ებრაელთა ერის გენოციდს ემსახურებოდა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ ნაციზმის ეპოქამდე არსებობდა ებრაელების მიმართ ამბივალენტური, ნიჰილისტური დამოკიდებულება. ებრაელთა კულტურის, რელიგიური მრწამსის, ცხოვრების წესის, სტილისა თუ განსხვავებული გარეგნობიდან გამომდინარე, ხალხს მიაჩნდა, რომ ისინი მევახშეები გახლდნენ, რომელთა მთავარ მიზანსაც კაცობრიობის დამორჩილება წარმოადგენდა. თუმცა უშუალოდ მე-20 საუკუნე ებრაელთა ისტორიული მეხსიერებისათვის განსაკუთრებულად მძიმე კულტურულ ტრავმად მოინათლა.

ტერმინი ტრავმა სხვადასხვა სფეროში გამოიყენება. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ეს ტერმინი სოციალურ მეცნიერებებშიც დამკვიდრდა. იგი აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფზე ან მთლიანად საზოგადოებაზე ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის გავლენას, ეფექტს, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა კოლექტივის ჯგუფის წევრთა ცნობიერებაზე, მეხსიერებასა თუ იდენტობაზე. ამ შემთხვევაში, ანალიზის ფოკუსში სწორედ ჯგუფია. კოლექტიური ტრავმა გახლავთ დარტყმა სოციალური ცხოვრების საბაზისო ნაწილზე, რომელიც არყევს საზოგადოების ერთიანობის განცდას.

ჯეფრი ალექსანდერი, კულტურული ტრავმის თეორიის ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, რომ კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რაიმე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მეხსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას. სწორედ ჯეფრი ალექსანდერის თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, შეიძლება განვიხილოთ ჰოლოკოსტი, როგორც კაცობრიობის ისტორიის კულტურული ტრავმა. მნიშვნელოვანია, კულტურული ტრავმის გააზრება/დაძლევის, ინტიტუციონალიზაციის საკითხი, რაც შემდეგი ძირითადი გზებით ხორციელდება: ესთეტიკური ფორმით, რითაც ტრავმა აისახება მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სფეროში. სამართლებრივი გზით – კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა, სასჯელი ან/დამატერიალური ანაზღაურება. მეცნიერული ანალიზით მოვლენის კვლევით, დამამტკიცებელი საბუთების ძიებითა და ხელახალი ინტერპრეტაციით. რომელიც ხშირად ცხარე კამათთანაც არის დაკავშირებული. მასმედიით ტრავმული პროცესი საინფორმაციო საშუალებებში აღწევს და მათი მეშვეობით აისახება, რაც ამძაფრებს ტრავმის აღქმას, განსაკუთრებით კი დღევანდელ რეალობაში. ასევე მნიშვნელოვანია, განათლების დონის, კულტურული რელატიურობისა და ტოლერანტობის ორიენტაციები, მათ შორის, „სოციალური ფესვგადგმულობის“ საკითხებიც.

ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნიდან დღემდე ჰოლოკოსტის, როგორც კულტურული ტრავმის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, არაერთი საინტერესო მასალა შეიქმნა. კვლევის ფარგლებში კი განვიხილავთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან და გამორჩეულ მაგალითებს.

## ირინა მანჩხაშვილი

### მეტაფიქციონალობა იბან სალდუას „ბიბლიოგრაფიის“ მიხედვით

**საკვანძო სიტყვები:** მეტაფიქციონალობა, ბასკური მხატვრული ლიტერატურა, იბან სალდუა, „ბიბლიოგრაფია“

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ თანამედროვე ბასკი მწერლის იბან სალდუას ნოველას „ბიბლიოგრაფია“. იბან სალდუა გონსალესი (დაიბადა 1966 წლის 18 თებერვალს, სან სებასტიანში) ბასკი მწერალია, რომელიც ცნობილია თავისი მოთხრობებით, ნოველებითა და ესეებით, რომლებიც ძირითადად ბასკურ ენაზეა დაწერილი. ამჟამად ის ბასკეთის უნივერსიტეტში ეკონომიკის ისტორიის პროფესორია და ვიტორია-გასტეისში ცხოვრობს.

სალდუამ ლიტერატურული კარიერა 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო; თავდაპირველად ესპანურ ენაზე წერდა, 1990-იანი წლებში კი ბასკურად დაიწყო წერა და მისმა ნამუშევრებმა აღიარება მოიპოვა. მისი შემოქმედება ცნობილია ბასკეთის კულტურული იდენტობისა და ისტორიული კონტექსტის ღრმა კვლევით. სალდუას ლიტერატული სტილი ხასიათდება როგორც ბასკური, ასევე ესპანური ენების აქტიური გამოყენებით. მწერალი ასახავს პირად და პროფესიულ ურთიერთობას ამ ენებთან. როგორც აღვნიშნეთ, სალდუამ წერა დაიწყო ესპანურად, მშობლიურ ენაზე, მაგრამ მოგვიანებით ბასკურ ენაზე გადაინაცვლა. ეს უკანასკნელი, ცხოვრებისეული გარემოებების გამო, სალდუას შემოქმედებითი გამოხატვის ძირითად ენად ჩამოყალიბდა.

ბილინგვური მიდგომა ამდიდრებს მის შემოქმედებას და საშუალებას აძლევს, რომ შეისწავლოს იდენტობის, კულტურისა და ადამიანური გამოცდილების თემები მრავალფეროვანი ენობრივი პერსპექტივიდან. წერის გარდა, სალდუა ასევე ცნობილია კულტურულ ღონისძიებებსა და ლიტერატურულ დისკუსიებში მონაწილეობით. მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ლიტე-

რატულ ფესტივალსა და საჯაროდ კითხვასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

საინტერესოა მეტაფიქციონალობის ფენომენის მნიშვნელობა ნოველაში „ბიბლიოგრაფია“. მეტაფიქციონალური ლიტერატურის ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევა „საკუთარი ხელოვნურობის გაშიშვლება, ლიტერატურული კონვენციებით თამაში და ონტოლოგიური საზღვრების დარღვევა“, ავტორეფლექსიური მთხრობლის, რომელსაც გააზრებული აქვს თხრობის აქტი, არსებობა, ექსპლიციტური მკითხველის როგორც მოქმედი პირის გამოჩენა ტექსტში და ე. წ. ჩინური კოლოფის სტრუქტურა ერთმანეთში მოქცეული ამბებისა, რომლებიც ერთმანეთს ირეკლავენ (ცაგარელი, 2007). იბან სალდუა თავის ნოველაში „ბიბლიოგრაფია“ პერსონაჟების ცხოვრების მოკლე მონაკვეთის მეშვეობით წარმოაჩენს კითხვის პრობლემას საზოგადოებაში და მის გამომწვევ მიზეზებს. ტექსტში ვეცნობით მოქმედ პირებს, რომლებსაც უყვართ კითხვა, მაგრამ მათ საკმარისი დრო არ აქვთ, გვხვდებიან არიან ისეთებიც, რომლებიც წიგნს სხვა (ყოფით) ფუნქციებს აკისრებენ; მაგალითად, პატიმარი პეტრო მეგობარი გოგოს ფოტოს ინახავს წიგნში. კითხვის პრობლემა ჯაჭვურად ებმის ადამიანებს შორის კავშირის გაწყვეტას, რაც ესთეტიკური ილუზიის რღვევის ფონზე მიმდინარეობს.



